

საინფორმაციო ფურცელი - შეთავაზება

1. მზღვეველი: სააქციო საზოგადოება „სადაზღვევო კომპანია აღდაგი“;

2. დაზღვევის ხელშეკრულების სახე: „სახლის დაზღვევა“;

3. დაზღვეული რისკის აღწერილობა/სადაზღვევო დაფარვის პირობები:

დაზღვევის ხელშეკრულების საგანია დაზღვევის პოლისში მითითებული და დამზღვევის კანონიერ მფლობელობაში არსებული სახლის დაზღვევა მზღვეველის მიერ დაზღვევის პირობების შესაბამისად, დამზღვევის მიერ შესაბამისი სადაზღვევო პრემიის გადახდის საფუძველზე, შემდეგი სადაზღვევო რისკებისაგან (სადაზღვევო დაფარვები)/მზღვეველი აანაზღაურებს უშუალოდ ისეთ ზარალს, რომლის გამომწვევი პირდაპირი მიზეზია (დამზღვევის არჩევანის შესაბამისად):

ძირითადი პროდუქტი:

I ჯგუფი - FLEXA: ხანძარი, აფეთქება (გაზის წნევის მომატების ან აირის გაჟონვის გამო), მეხის დაცემა, თვითმფრინავის და სხვა საჰაერო მოწყობილობის ან მათი ნაწილების ჩამოვარდნა;

II ჯგუფი - სტიქიური მოვლენა: მიწისძვრა, მეწყერი, ღვარცოფი, ჰაერის მასების მოძრაობა 25 მ/წმ და მეტი სიჩქარით, წყალდიდობა (სტიქიური მოვლენის შედეგად, მდინარის, ტბის, ზღვის, წყალსაცავის ნაპირებიდან გადმოსვლა), სეტყვა, უხვთოვლიანობა (თოვლის საფარი 1 მეტრი და მეტი სიმაღლის), ზვავი;

III ჯგუფი - მართლსაწინააღმდეგო ქმედება: ქურდობა შეღწევით, ძარცვა, ყაჩაღობა, ვანდალიზმი;

IV ჯგუფი - დატბორვა: მეზობლისგან წყლის უეცარი და მოულოდნელი ჩამოსვლა, წყალ-საკანალიზაციო (მათ შორის ქოლობი) სისტემის მწყობრიდან უეცარი და მოულოდნელი გამოსვლით დატბორვა;

დამატებითი პროდუქტები:

- **მესამე პირთა წინაშე წარმოქმნილი პასუხისმგებლობა:**

მზღვეველი აანაზღაურებს თქვენზე დაკისრებულ მატერიალურ პასუხისმგებლობას, თუ დაზღვეული ქონების გამოყენებისას წარმოქმნილი შემდეგი დაზღვეული რისკების: ხანძრის, აფეთქების, დატბორვის ან კონსტრუქციული ელემენტის, დამონტაჟებული საგნის / მოწყობილობის ვარდნის ან შენობის ნგრევის შედეგად ზიანი მიადგა მესამე პირის ქონებას ან ჯანმრთელობას, თანახმად დაზღვევის პირობებისა;

- **მოიჭარის (დამქირავებლის) მიერ გამოწვეული ზარალი:**

გარდა ძირითადი პროდუქტით დაზღვეული რისკის გამოვლინების შედეგად განცდილი ზარალისა, მზღვეველი ასევე აანაზღაურებს ისეთ ზარალს, როდესაც მოიჭარე დააზიანებს თქვენს დაზღვეულ ქონებას და ბრალს აღიარებს (უნდა იყოს ნოტარიულად დამოწმებული, ზიანის ოდენობის მითითებით), თანახმად დაზღვევის პირობებისა;

- **მეიჭარის (გამქირავებლის) პასუხისმგებლობა:**

მზღვეველი აანაზღაურებს თქვენზე დაკისრებულ მატერიალურ პასუხისმგებლობას, თუ დაზღვეული ქონების გამოყენებისას ზიანი მიადგა მოიჭარის პირად ქონებას ან ჯანმრთელობას/სიცოცხლეს თანახმად დაზღვევის პირობებისა;

- **საიჭარო შემოსავლის დაკარგვა:**

მზღვეველი აანაზღაურებს დაკარგულ საიჭარო შემოსავალს (დაზღვეული ქონების აღდგენამდე ან ახალი ქონების შეძენამდე მაქსიმუმ 6 (ექვსი) თვის განმავლობაში), თუ

ძირითადი პროდუქტით დაზღვეული რისკის გამოვლინების შედეგად, დაკარგავთ დაზღვეული ქონებიდან მისაღებ საიტარო შემოსავალს, თანახმად დაზღვევის პირობებისა;

4. დამზღვევის მიერ სადაზღვევო პრემიის გარდა სხვა ფინანსური ხარჯის გაწევის წინაპირობები, ოდენობა და წესი - ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, სადაზღვევო პოლისის შეწყვეტის თარიღისათვის გამოუმუშავებელი პრემიის 80 % აღარ ექვემდებარება გადახდას, ან თუ უკვე გადახდილია სრულად (ან ნაწილობრივ), ასეთ შემთხვევაში უკან დაგიბრუნდებათ. გამოუმუშავებელი პრემიის 20 %-ს კი მზღვეველი იტოვებს მომსახურებაზე გაწეული ადმინისტრაციული ხარჯების საკომპენსაციოდ;

5. ფრანშიზის სახე, ოდენობა და გამოყენების წინაპირობები

ჩვენ და თქვენ შორის, რისკის გადანაწილების მიზნით, პოლისში, განისაზღვრება ფრანშიზა, რომელიც წარმოადგენს ფიქსირებულ თანხას (შესაძლოა გამოისახოს როგორც სადაზღვევო ლიმიტის ან ზარალის პროცენტი ან დღეების რაოდენობა). რისკის გადანაწილება ხდება შემდეგნაირად: ყოველი ზარალის დროს, თუ დაზღვეული შემთხვევით გამოწვეული ზარალი ნაკლებია ფრანშიზაზე, მას მთლიანად ფარავთ თქვენ, ხოლო თუ ზარალი ფრანშიზაზე მეტია, თქვენ ფარავთ ფრანშიზის ტოლ ნაწილს და დანარჩენს ვფარავთ ჩვენ.

ფრანშიზის ოდენობა და გამოყენების წინაპირობები განისაზღვრება სადაზღვევო პოლისით.

6. სადაზღვევო ანაზღაურებაზე უარის გაცხადება/დაზღვევის გამონაკლისი პირობები

6.1 მზღვეველს უფლება აქვს უარი განაცხადოს ანაზღაურებაზე, თუ:

- 6.1.1 დაზღვეული ქონების მესაკუთრემ, მასში მუდმივად მცხოვრებმა პირმა ან ჩამოთვლილიდან რომელიმეს ნებართვით დაზღვეულ სახლში მყოფმა პირმა ჩაიდინა განზრახ ქმედება ან გამოიჩინა უხეში გაუფრთხილებლობა;
- 6.1.2 დაზღვეული ქონების დაზიანების, ქურდობის, ძარცვის, ყაჩაღობის ფაქტი, არ შეგვატყობინეთ გაგებიდან 24 საათში;
- 6.1.3 სხვა დაზღვევის წარმოქმნის შემთხვევაში ინფორმაცია გაგებისთანავე არ მოგვანოდეთ;
- 6.1.4 სადაზღვევო მოთხოვნის რეგულირების პროცესში, წარმოადგინეთ არაზუსტი/ყალბი ინფორმაცია, საბუთი ან ცნობა;
- 6.1.5 „უკიდურესი კეთილსინდისიერების“ დათქმის თავში მითითებული ინფორმაცია დროულად არ გვაცნობთ ან თქვენი შეტყობინება არასწორ მონაცემებს შეიცავს, ან დაზღვევის განაცხადში თქვენ მიერ მითითებული ინფორმაცია არაზუსტი ან ყალბია (მაგ. არასწორად მიუთითეთ შენობის აშენების წელი);
- 6.1.6 არ მიიღეთ ყველა შესაძლო გონივრული ზომა მიმართული ზარალის მინიმიზაციისკენ, დაზღვეული ქონების გადასარჩენად/ შესანარჩუნებლად;
- 6.1.7 არ ითანამშრომლეთ ჩვენთან სადაზღვევო მოთხოვნის რეგულირების პროცესში, მათ შორის არ შეასრულა ჩვენი მითითებები;
- 6.1.8 ჩვენთან, წინასწარი შეთანხმების გარეშე მიიღეთ დაზიანებული ქონების აღსადგენი ზომები ან შეცვალეთ ზიანის ამსახველი ვითარება;
- 6.1.9 ჩვენთან წინასწარი წერილობითი შეთანხმების გარეშე აღიარეთ ბრალი ან გადაუხადეთ მესამე პირს (მათ შორის მოიჭარეს) კომპენსაცია ან ანაზღაურეთ სასამართლო/სასამართლოს გარეშე დაცვის ხარჯები;
- 6.1.10 მესამე პირთა (მათ შორის მოიჭარის) წინაშე წარმოქმნილი პასუხისმგებლობის საქმის სასამართლო განხილვის ეტაპზე, თავად სცანით სარჩელი (ან მისი ნაწილი) ან/და

დაზარებულ მხარესთან მორიგდით ჩვენთან წინასწარი წერილობითი შეთანხმების გარეშე, ან თქვენ წინააღმდეგ გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

6.1.11 უარი თქვით შემთხვევაზე პასუხისმგებელი პირის მიმართ მოთხოვნაზე ან მოთხოვნის უფლებაზე ან არ მოგვანოდეთ ის საბუთები, რომლებიც საჭიროა შემთხვევაზე პასუხისმგებელი პირის მიმართ რეგრესის მოთხოვნის წასაყენებლად, რის შედეგადაც ჩვენ მიერ სუბროგაციული უფლების გამოყენება შეუძლებელი გახდა;

6.2 ჩვენ არ ავანაზღაურებთ იმ სადაზღვევო შემთხვევებს, რომლებიც დადგება თქვენ მიერ პრემიის პირველი ან ერთჯერადი შესატანის გადახდამდე, ხოლო, თუ სადაზღვევო პოლისი მრავალწლიანია, როგორც პირველი, ისე ყოველი მომდევნო წლის პირველი ან ერთჯერადი სადაზღვევო პრემიის გადახდამდე.

6.3 პრემიის პერიოდულად გადახდის შემთხვევაში, მორიგი პრემიის დადგენილ ვადაში სრულად გადაუხდელობისას, ჩვენ გამოგიგზავნით შეტყობინებას პრემიის გადახდის ორკვირიანი დამატებითი ვადის მითითებით. თუ შემთხვევა დადგება ამ ორკვირიანი ვადის გასვლის შემდეგ და პრემიის დავალიანება არ იქნება დაფარული, ჩვენ ვთავისუფლებით ანაზღაურების მოვალეობისაგან.

6.4 დაზღვევას არ ექვემდებარება და, შესაბამისად, არ ანაზღაურდება შენობის გარეთ მიწის ნაკვეთზე არსებული ქონება (მათ შორის, გაყვანილობის სისტემა); ფეთქებადი ნივთები, ცეცხლსასროლი იარაღი, მცენარეები, ელექტრონული მონაცემები/ინფორმაცია (მათ შორის პროგრამები და პროგრამული უზრუნველყოფა); დოკუმენტაცია; ძვირფასეულობა, ფული, ნახატები და რაიმე სახის საკოლექციო თუ ანტიკვარული ნივთები.

6.5 სადაზღვევო პოლისის გაცემიდან პირველი 14 დღის განმავლობაში სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული II, III ან IV ჯგუფის რისკებით გამოწვეული ზარალი ანაზღაურებას დაექვემდებარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაზღვევის მიერ პოლისის გაცემის მომენტში წარმოდგენილია ფოტომასალა, რომელზეც მკაფიოდ ჩანს ქონების იმ კონკრეტული ნაწილის პირვანდელი/დაზიანებამდე არსებული მდგომარეობა, რომელიც სწორედ II, III ან IV ჯგუფის რისკების გამოვლინების შედეგად დაზიანდა. ეს წესი არ მოქმედებს უწყვეტად განახლებულ პოლისებზე.

6.6 მოპირკეთება/მონტაჟი და შიგთავსის სექციით ანაზღაურდება მხოლოდ იმ ავეჯის, ტექნიკისა და საყოფაცხოვრებო ნივთების დაზიანებით გამოწვეული ზარალი, რომლებიც მოცემულია სადაზღვევო პოლისის დანართი 1-ის ჩამონათვალში.

6.7 დაზღვეული ქონების დაკარგვისას/განადგურებისას/დაზიანებისას, იმ შემთხვევაში თუ ვერ ხორციელდება საკუთრების უფლების მზღვეველისათვის გადაცემა დაკარგულ ქონებაზე/განადგურებული ქონების ნარჩენებზე/დაზიანებული ქონების შეცვლილ ნაწილებზე, მზღვეველი უფლებამოსილია საკუთრების/ქონების ნარჩენის ან შეცვლილი ნაწილების ღირებულება გამოქვითოს გასაცემი ანაზღაურებიდან ან, მოითხოვოს გაცემული ანაზღაურების უკან დაბრუნება.

6.8 დაზღვევის ხელშეკრულების გამონაკლისები:

6.8.1 მზღვეველი არ აანაზღაურებს შენობის გარე მოპირკეთების და სახურავის ისეთ დაზიანებას, რაც მის ფუნქციონირებას არ ზღუდავს - ისეთ ზარალს, რომლის გამომწვევი პირდაპირი ან ირიბი მიზეზია, ისეთი სტიქიური მოვლენა (გარდა წყალდიდობისა), რომელმაც არ გამოიწვია კონსტრუქციის დაზიანება.

6.8.2 მზღვეველი არ ანაზღაურებს ისეთ ზარალს, რომლის გამომწვევი პირდაპირი ან ირიბი მიზეზია:

- შენობის/დაზღვეული ქონების ისეთი დეფექტი ან ნაკლი, რომლის შესახებაც უნდა გცოდნოდეთ დაზღვევის მომენტში;
- სამშენებლო/სარემონტო სამუშაოები, გარდა „კოსმეტიკური“ ხასიათის სამუშაოებისა (სამღებრო სამუშაო, შპალერის გაკვრა);
- ომი, შეიარაღებული მოქმედებები, ტერორიზმი;
- გაფიცვა, აჯანყება, სამოქალაქო არეულობა/მღელვარება;
- ბირთვული საფრთხე, რადიაციული ფონი;
- ხელისუფლების ან კანონის დადგენილება.

6.8.3 დამატებითი პროდუქტის, მესამე პირთა წინაშე წარმოქმნილი პასუხისმგებლობის სადაზღვევო დაფარვის მიზნებისათვის გამონაკლისს წარმოადგენს და, შესაბამისად, არ ანაზღაურდება ზარალი, რომლის გამომწვევი პირდაპირი ან ირიბი მიზეზია: ხელშეკრულებით დაკისრებული ისეთი პასუხისმგებლობა, რომელიც აფართოებს სამოქალაქო პასუხისმგებლობას; ხელშეკრულებით დაკისრებული ჯარიმა; მეიჯარის / მოიჯარის მიმართ პასუხისმგებლობა;

6.8.4 დამატებითი პროდუქტის, მოიჯარის (დამქირავებლის) მიერ გამოწვეული ზარალის სადაზღვევო დაფარვის მიზნებისათვის გამონაკლისს წარმოადგენს და, შესაბამისად, არ ანაზღაურდება ზარალი, რომლის გამომწვევი პირდაპირი ან ირიბი მიზეზია: ხელშეკრულებით დაკისრებული ისეთი პასუხისმგებლობა, რომელიც აფართოებს სამოქალაქო პასუხისმგებლობას; ხელშეკრულებით დაკისრებული ჯარიმა;

6.8.5 დამატებითი პროდუქტის, მეიჯარის (გამქირავებლის) პასუხისმგებლობის სადაზღვევო დაფარვის მიზნებისათვის გამონაკლისს წარმოადგენს და, შესაბამისად, არ ანაზღაურდება ზარალი, რომლის გამომწვევი პირდაპირი ან ირიბი მიზეზია: ხელშეკრულებით დაკისრებული ისეთი პასუხისმგებლობა, რომელიც აფართოებს სამოქალაქო პასუხისმგებლობას; ხელშეკრულებით დაკისრებული ჯარიმა.

6.8.6 დამატებითი პროდუქტის, საიჯარო შემოსავლის დაკარგვის სადაზღვევო დაფარვის მიზნებისათვის გამონაკლისს წარმოადგენს და, შესაბამისად, არ ანაზღაურდება ზარალი, რომლის გამომწვევი პირდაპირი ან ირიბი მიზეზია: ქონების აღდგენის გაჭიანურება (აღსადგენად თანხის მიღებიდან გონივრულ ვადაში (მაგრამ არაუმეტეს 3 თვისა), თუ არ განახლდა ფუნქციონირება).

7. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მზღვეველისთვის შეტყობინების გაგზავნის, მოთხოვნის წარდგენის, სადაზღვევო შემთხვევის რეგულირებისა და სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის ფორმა და ვადები:

- დაზღვეული ქონების დაზიანების, ქურდობის, ძარცვის, ყაჩაღობის ფაქტის გაგებისთანავე, დაუყოვნებლივ გვაცნობეთ აღნიშნულის შესახებ სატელეფონო ცენტრში, ნომერზე: +995 32 2444 999;
- შემთხვევის დასაფიქსირებლად, მზღვეველის სატელეფონო ცენტრის ოპერატორს დასჭირდება თქვენი პირადი მონაცემები და შემთხვევის დეტალები.
- ნებისმიერი სახის ზიანის დადგომისას, შესაძლებლობის ფარგლებში, უნდა მიიღოთ ქონების გადასარჩენად მიმართული ყველა გონივრული ზომა (მაგ. ქურდობის/ძარცვის/ყაჩაღობის/ვანდალიზმის დროს - აუცილებელია გამოიძახოთ საპატრულო პოლიცია, ხანძრის (აფეთქება) დროს - აუცილებელია გამოიძახოთ საგანგებო

სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი (სახანძრო) და საპატრულო პოლიცია). ზიანთან დაკავშირებული, ყველა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი აუცილებლად უნდა მოგვანოდოთ. ასევე, ჩვენთან შეუთანხმებლად, არ შეცვალოთ ზიანის ამსახველი ვითარება და არ მიიღოთ დაზიანებული ქონების აღსადგენი ზომები.

- შემთხვევის დაფიქსირების შემდგომ, მოვლენის ხასიათიდან გამომდინარე, მოგაწვდით დეტალურ ინსტრუქციებს თუ რა არის საჭირო შემთხვევის გამომწვევი მიზეზების შესასწავლად.
- ყველა აუცილებელი საბუთის და ინფორმაციის მიღების შემდგომ, 10 სამუშაო დღის ვადაში, შეგატყობინებთ დაკმაყოფილდება თუ არა თქვენი მოთხოვნა და რა თანხით. თანხის გაცემა ხდება, ორმხრივად ხელმოწერილი აქტის საფუძველზე, რაც წარმოადგენს ორივე მხარის მიერ ანაზღაურებაზე შეთანხმების დასტურს.
- ჩვენ უფლებას ვიტოვებთ გადავავადოთ ანაზღაურების თაობაზე გადანყვეტილების მიღება, თუ შემთხვევასთან დაკავშირებით თქვენი, დაზღვეული ქონების მესაკუთრის, მასში მუდმივად მცხოვრები პირის ან ჩამოთვლილიდან რომელიმეს ნებართვით დაზღვეულ ტერიტორიაზე მყოფი პირის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე;
- პრემიის პერიოდულად გადახდის შემთხვევაში, ჩვენ უფლებამოსილი ვართ ანაზღაურების ოდენობიდან გამოვქვითოთ გადასახდელი პრემია სრული ოდენობით;
- შემთხვევის გამომწვევი მიზეზების ან ზარალის ოდენობაზე შეუთანხმებლობის შემთხვევაში, თქვენ უფლებამოსილი ხართ, საკუთარი ხარჯით, მოითხოვოთ აკრედიტირებული ექსპერტიზის ჩატარება.

7.1 ანაზღაურების სიდიდის დადგენა

7.1.1 კონსტრუქცია

კერძო სახლის/აგარაკის კონსტრუქციის დაზიანების/განადგურების შემთხვევაში: ზარალის სიდიდე შეფასდება როგორც განადგურებული/დაზიანებული კონსტრუქციის, შემთხვევის დადგომის მომენტში, ახალი მასალით, აღდგენის/განახლების ღირებულება (მაგრამ არაუმეტეს დაზღვეული შემთხვევის დადგომის წინ, იგივე კერძო სახლის/აგარაკის საბაზრო ღირებულებისა).

ბინის კონსტრუქციის დაზიანების/განადგურების შემთხვევაში: ზარალის სიდიდე შეფასდება როგორც დაზიანებული კონსტრუქციის, შემთხვევის დადგომის მომენტში, ახალი მასალით, აღდგენის/განახლების ღირებულება (მაგრამ არაუმეტეს იგივე/მსგავს ლოკაციაზე, მსგავსი კონსტრუქციის საბაზრო ღირებულებისა). იმ შემთხვევაში, თუ კონსტრუქცია აღდგენას არ ექვემდებარება, ზარალის სიდიდე შეფასდება როგორც ჩანაცვლების ღირებულება, რაც თავისთავად გულისხმობს, შემთხვევის დადგომის მომენტში, იგივე/მსგავს ლოკაციაზე, მსგავსი კონსტრუქციის საბაზრო ღირებულებას.

7.1.2 მოპირკეთება/მონტაჟი და შიგთავსი

დაზიანების/განადგურების შემთხვევაში: ზარალის სიდიდე შეფასდება, როგორც შემთხვევის დადგომის მომენტში, ახალი მასალით/ნაწილებით აღდგენის/განახლების ღირებულება. ის ერთეულები კი, რომლებიც აღდგენას არ ექვემდებარება, მაგ. დაკარგვის ან განადგურების გამო, ჩანაცვლების ღირებულებით შეფასდება. რაც თავისთავად გულისხმობს, იგივე/მსგავს მდგომარეობაში მყოფი (იგულისხმება რა მდგომარეობაშიც იყო ერთეული, შემთხვევის დადგომის წინ), მსგავსი ერთეულის საბაზრო ღირებულებას.

მოპირკეთება/მონტაჟი და შიგთავსის სექციით ანაზღაურდება მხოლოდ იმ ავეჯის, ტექნიკის და საყოფაცხოვრებო ნივთების დაზიანებით გამოწვეული ზარალი, რომლებიც მოცემულია სადაზღვევო პოლისის დანართი 1-ის ჩამონათვალში. ამასთან, თუ ზარალი ამავე დანართის ქვე-ლიმიტის ჯამის 50%-ს გადააჭარბებს, დამატებით, ერთჯერადად, გაიცემა მოპირკეთება/მონტაჟი და შიგთავსის ქვე-ლიმიტის 2.5%, რომელიც განკუთვნილია ისეთი წვრილი საყოფაცხოვრებო ნივთებისთვის, რომელიც არ არის მითითებული ზემოაღნიშნულ დანართი 1-ში.

7.1.3 მესამე პირთა წინაშე წარმოქმნილი პასუხისმგებლობა/მეიჯარის (გამქირავებლის) პასუხისმგებლობა:

ზარალის სიდიდეს წარმოადგენს შესაბამისი პროდუქტის დაზღვეული რისკით გამოწვეული თქვენი მატერიალური პასუხისმგებლობა მესამე პირის წინაშე (მეიჯარის (გამქირავებლის) პასუხისმგებლობის დაფარვის შემთხვევაში მოიჯარის წინაშე). დაზარალებულ მხარესთან ნებისმიერი სახის მოლაპარაკება უნდა აწარმოოთ ჩვენთან შეთანხმებით.

დაზარალებულ მხარესთან ანაზღაურების ოდენობაზე შეუთანხმებლობის შემთხვევაში, ზარალის სიდიდე განისაზღვრება სასამართლოს მიერ, თქვენზე დაკისრებული მატერიალური პასუხისმგებლობის საფუძველზე. ამ შემთხვევაში, ჩვენთან წინასწარ შეთანხმების საფუძველზე ასევე ავანაზღაურებთ, თქვენ მიერ სასამართლო და სასამართლოს გარეშე გაწეულ ხარჯებს.

7.1.4 მოიჯარის (დამქირავებლის) მიერ გამოწვეული ზარალი:

ზარალის სიდიდეს წარმოადგენს მოიჯარის მატერიალური პასუხისმგებლობა თქვენ წინაშე. მოიჯარესთან ანაზღაურების ოდენობაზე შეთანხმება უნდა აწარმოოთ ჩვენგან მიღებული ინსტრუქციით. მოიჯარესთან ანაზღაურების ოდენობაზე შეუთანხმებლობის შემთხვევაში, ზარალის სიდიდე განისაზღვრება სასამართლოს მიერ, მასზე დაკისრებული მატერიალური პასუხისმგებლობის საფუძველზე. ამ შემთხვევაში, ჩვენთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე ასევე ავანაზღაურებთ თქვენ მიერ სასამართლო და სასამართლოს გარეშე გაწეულ ხარჯებს.

7.1.5 საიჯარო შემოსავლის დაკარგვა:

ზარალის სიდიდეს წარმოადგენს მიუღებელი საიჯარო შემოსავალი (მაგრამ არაუმეტეს მსგავს ლოკაციაზე არსებული, მსგავსი ბინის 6 (ექვსი) თვის საბაზრო საიჯარო შემოსავლისა). მიუღებელი საიჯარო შემოსავლის დასადგენად ვიყენებთ ისეთ წყაროს, როგორიცაა მოქმედი და წინა პერიოდის განმავლობაში არსებული ქირავნობის ხელშეკრულება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და თქვენი საბანკო ანგარიშის ამონაწერი (საიდანაც დგინდება საიჯარო შემოსავლის მიღება/არსებობა). ზემოხსენებული 6 (ექვსი) თვის დაკარგული შემოსავლის განსაზღვრის დროს უფლებას ვიტოვებთ გავითვალისწინოთ საიჯარო ფასზე სეზონურობის გავლენა.

სადაზღვევო ლიმიტიდან, ანაზღაურების სახით გაიცემა თითოეული პროდუქტის შემადგენელი ელემენტისათვის ზემოთ მოყვანილი წესით შეფასებული ზარალის დაჯამებულ თანხას გამოკლებული ფრანშიზა.

7.1.6 შემცირებულ ფართზე დაზღვევა

თუ ზარალის შეფასების ეტაპზე აღმოჩნდება, რომ განაცხადში ფართობად (შემდგომში დაზღვეული ფართობი) რეალურზე ნაკლები ფართობია მითითებული, ამ პირობებში მოცემული წესით ძირითადი პროდუქტისათვის გამოთვლილი ანაზღაურება შემცირდება დაუზღვეველი ფართობის რეალურ ფართობთან შეფარდების პროპორციულად.

7.1.7 სხვა დაზღვევა

კომპენსაციის პრინციპის თანახმად, თქვენ არ გაქვთ უფლება მიიღოთ რეალურ ზარალზე მეტი თანხა. შესაბამისად, თუ თქვენი ინტერესი ზარალის მომენტში დაფარული აღმოჩნდება სხვა პოლისითაც, ამ პირობების წესით გამოთვლილი ანაზღაურება (რომელსაც მიიღებდით სხვა დაზღვევის არარსებობის შემთხვევაში), შემცირდება ყველა მზღვეველის მიერ გასაცემ ჯამურ თანხასთან შეფარდების პროპორციულად.

აქვე, მოვალე ხართ, სხვა დაზღვევის წარმოქმნის მომენტში, გაგებისთანავე, დაუყოვნებლივ გვაცნობოთ მზღვეველის ვინაობისა და სადაზღვევო დაფარვის დეტალების მითითებით.

7.2 ზარალის დარეგულირებისას, მზღვეველის მოთხოვნის შემთხვევაში, ვალდებული ხართ გადასცეთ მზღვეველს საკუთრების უფლება დაკარგულ ქონებაზე/განადგურებული ქონების ნარჩენებზე/ დაზიანებული ქონების შეცვლილ ნაწილებზე. ბინის განადგურების შემთხვევაში ასევე, ვალდებული ხართ, გადასცეთ მზღვეველს საკუთრების უფლება შესაბამის წილ მიწის ნაკვეთზე და განადგურებულ ბინაზე. იმ შემთხვევაში, თუ ვერ ხორციელდება საკუთრების უფლების გადმოცემა, მზღვეველი უფლებამოსილია საკუთრების/ქონების ნარჩენის ან შეცვლილი ნაწილების ღირებულება გამოქვითოს გასაცემი ანაზღაურებიდან ან, მოითხოვოს გაცემული ანაზღაურების უკან დაბრუნება.

7.3 თქვენ, განაცხადის შევსებისას, უთითებთ/ირჩევთ სადაზღვევო ლიმიტებს და ქვე-ლიმიტებს, ძირითადი და დამატებითი პროდუქტის და მათი შემადგენელი ელემენტებისთვის. სადაზღვევო ლიმიტი / ქვე-ლიმიტი არის მაქსიმალური თანხა, რომელიც თქვენ შეიძლება მიიღოთ ანაზღაურების სახით, მიუხედავად დაზღვეული შემთხვევების რაოდენობის და განცდილი ზარალების სიდიდისა, ის ამოწურვადია და მცირდება ყოველ ჯერზე გაცემული ანაზღაურების ოდენობით. ქვე-ლიმიტი წარმოადგენს სადაზღვევო ლიმიტის შემადგენელ ნაწილს და არა დამატებით თანხას.

7.4 სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა ლარში, გადახდის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად.

წინამდებარე შეთავაზება წარმოადგენს არასრულ/არაამომწურავ ინფორმაციას დაზღვევის პირობების შესახებ და აღნიშნული დოკუმენტი არ არის დაზღვევის ხელშეკრულების იდენტური ძალის მქონე.

თქვენ მიერ წინამდებარე შეთავაზების გაცნობა და ჩვენს მიერ შეთავაზებასთან დაკავშირებით განმარტებების გაკეთება არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს და მოთხოვნებს თქვენსა და ჩვენ შორის.